თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში რამდენიმე სიახლე იგეგმება

იხილეთ მე-2 გვ.

„ღია კარის დღე“ სამხედრო ნაწილში

იხილეთ მე-3 გვ.

№4 (784) 25 ივნისი, 2018 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

ქუთაისის სპორტულ სკოლას ნიჩბოსანთა ეროვნული ფედერაციიდან გარიცხვა ემუქრება

საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნულ ფედერაციას 2016 წლის თებერვლიდან ახალი პრეზიდენტი ჰყავს, ვახტანგ ალანია. მას და ახალ გამგეობას საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო: ბაზების ნაწილი გაპარტახებული ან გაყიდული იყო, ფედერაციას არ გააჩნდა სპორტული ინვენტარი, არ არსებობდა ასაკობრივი ნაკრები გუნდები, არ მიმდინარეობდა მწვრთნელთა გადამზადების პროცესი. როგორია ამჟამად ფედერაციის საქმიანობა, რა წარმატებებს მიაღწიეს, რა პრობლემები დარჩა დასაძლევი და რატომ აპირებენ ქუთაისის ნიჩბოსნობის სპორტული სკოლის ფედერაციიდან გარიცხვას, ამ საკითხებზე ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი ვახტანგ ალანია გვესაუბრა.

ვახტანგ ალანია:

— ამ ბოლო 2 წლის მანძილზე რამდენიმე რთული პრობლემის დაძლევა შევძელით და ვარჯიშისა და დასვენებისთვის სპორტსმენებს საუკეთესო პირობები შევუქმენით. გვაქვს სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე მაღალი ხარისხის სპორტული ინვენტარი როგორც სპორტსმენებისთვის, ისე — მწვრთნელებისთვის, ასევე — სპორტული სასტუმრო და სასადილო, კეთილმოწყობილი სავარჯიშო დარბაზები, სხვადასხვა სპორტული აღჭურვილობით. ამავე დროს ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარდა მწვრთნელთა ტრენინგები, ჩამოყალიბდა ასაკობრივი ნაკრებები — მცირე შემადგენლობით; ამავე დროს, მოვიძიეთ ალტერნატიული დაფინანსების წყაროები, რომელიც ოფიციალურად ასახულია ჩვენს ბუღალტერიაში.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა პრობლემა დავძლიეთ, ერთის გარდა, რაც ძალიან გვაწუხებს. ეს არის რეგიონებში არსებულ ადგილობრივ სპორტულ სკოლებთან მუშაობა. ჩვენი დიდი მცდელობისა და თხოვნის მიუხედავად, არ არის მასობრიობა და სავარჯიშო პროცესებიც საკმაოდ არაკომპეტენტურად მიმდინარეობს. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ქუთაისის ნიჩბოსნობის სპორტული სკოლა, რომლის მწვრთნელებიც აგრესიითა და ბოიკოტის რეჟიმით ურთიერთობენ ფედერაციასთან. ისინი არ მონაწილეობენ ფედერაციის მიერ დაგეგმილ არცერთ ღონისძიებასა თუ შეჯიბრებაში, არ უშვებენ ეროვნული ნაკრების შეკრებაზე გამოძახებულ მათი სკოლის სპორტსმენებს.

— ბატონო ვახტანგ, მაინც რა არის მათი ასეთი ქმედების მიზეზი?

— ჩემი აზრით, ეს ზოგიერთი ადგილობრივი მწვრთნელის პირადი განაწყენებიდან იღებს სათავეს და შემდეგ ის გარკვეულ გავლენას ახდენს სხვებზე. ვგულისხმობ ქუთაისის სპორტული სკოლის მწვრთნელს, ნუკრი მიქაუტაძეს, რომელსაც ფედერაციამ თავდაპირველად ნდობა გამოუცხადა და მისცა შანსი, ემუშავა ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად, მან კი საზღვარგარეთ ერთ-ერთ შეჯიბრზე ჯგუფის წაყვანისას, რიგის აეროპორტში მიატოვა არასრულწლოვან გოგონათა ნაკრები და თვითონ ვილნიუსში გაფრინდა, შემდეგ კი - ტრაკაიში, სადაც იმართებოდა შეჯიბრი და კომფორტულად ისე მოეწყო სასტუმროში, რომ სპორტსმენები არც კი გახსენებია. მერე კი ჩემი პირადი მცდელობით მოვახერხეთ, რომ ეს ბავშვები მეორე დღეს მაინც ჩასულიყვნენ შეჯიბრზე. ბუნებრივია, ასეთი ფაქტის შემდეგ მიქაუტაძე გავათავისუფლეთ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან. მან კი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, სხვებიც აიყოლია და ბოიკოტის თამაში წამოიწყო, თუმცა ამით მთელ სპორტულ სკოლას აყენებს ზიანს.

საერთოდ, მათ გასაგონად, ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაცია პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ფედერაციის წინაშე, განავითაროს საქართველოში ერთ-ერთი ოლიმპიური სახე — აკადემიური ნიჩბოსნობა. ამისათვის მას აქვს თავისი სამოქმედო პროგრამა და გეგმები,რომელიც გაწერილია წლიურ კალენდარში და დამტკიცებულია საქართველოს სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ.ფედერაციის ეგიდითა და ორგანიზებით საქართველოში იმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, ასევე - სპორტული შეჯიბრებები.

ქუთაისის ნიჩბოსნობის სპორტული სკოლა არის საქართველოს ეროვნული ფედერაციის წევრი და ვალდებულია, აქტიურად მონაწილეობდეს ფედერაციის ღონისძიებებში. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ასე არ ხდება. ფედერაციის მრავალგზის თხოვნისა და მოწოდების მიუხედავად, ქუთაისის ნიჩბოსნობის სპორტული სკოლის გუნდმა არ მიიღო მონაწილეობა 2017 წელსა და 2018 წელს დაგეგმილ არცერთ სპორტულ ღონისძიებაში. ასევე, ქუთაისის ნიჩბოსნობის სპორტული სკოლა არ უზრუნველყოფს სპორტსმენების მივლინებასა და დასწრებას საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

თუ ასე გაგრძელდა, ფედერაცია იძულებული იქნება, დააყენოს საკითხი, რომ ქუთაისი გაირიცხოს ნიჩბოსნობის ფედერაციიდან.ეს კი საფუძველი იქნება იმისათვის, რომ მათ კანონით, ადგილობრივი ხელისუფლება ვეღარ დააფინანსებს, რადგანაც სახელმწიფო დონეზე სამინისტრო აღიარებს მხოლოდ ნიჩბოსნობის ეროვნულ ფედერაციას.

— ბატონო ვახტანგ, ქუთაისის მერს და ქალაქის სპორტულ დაწესებულებათა ა(ა)იპის ხელმძღვანელობა თუ ჩააყენეთ სიტუაციის საქმის კურსში?

— ჩვენ რამდენიმე დღეა, გავაგზავნეთ ოფიციალური წერილები ქუთაისის მერთან, ბატონ გიორგი ჭიღვარიასთან და ასევე ა(ა)იპის ხელმძღვანელთან, ბატონ კობა ფხაკაძესათან და იმედია, მივიღებთ პასუხს ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არ მონაწილეობენ ქუთაისის ნიჩბოსნობის სპორტული სკოლის წარმომადგენლები ფედერაციის ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში.

***

როგორც ჩვენ ქუთაისის მერიასა თუ სპორტულ დაწესებულებათა ა(ა)იპის ხელმძღვანელობასთან გავარკვიეთ, წერილები ჯერ არ არის მისული ადრესატამდე, თუმცა ა(ა)იპის ხელმძღვანელმა **კობა ფხაკაძემ** ჩვენს რამდენიმე შეკითხვას უპასუხა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

— ბატონო კობა, ჩვენმა რედაქციამ მიიღო ინფორმაცია, რომ ქუთაისის ნიჩბოსანთა სპორტული სკოლა ბოიკოტირების რეჟიმშია ნიჩბოსანთა ფედერაციასთან. ამის ძირითად მიზეზად სახელდება თქვენი აიპის ერთ-ერთი თანამშრომლის, მწვრთნელ ნუკრი მიქაუტაძის პირადი დაპირისპირება ფედერაციასთან, რის გამოც ნიჩბოსანთა სპორტსკოლის მოსწავლეები უკვე ორი წელია, არ მონაწილეობენ ფედერაციის დაგეგმილ არცერთ ღონისძიებასა თუ შეჯიბრებებში. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რა არის ამ ბოიკოტირების მიზეზები და რას ფიქრობთ ამ პრობლემის გადასაწყვეტად?

— როგორც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც ნიჩბოსნობის სკოლის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს, ფედერაცია ქუთაისელ წარმატებულ სპორტსმენებს საერთაშორისო ტურნირებზე ბლოკავს. მწვრთნელებს მაგალითად მოჰყავთ საქართველოს ჩემპიონატი, სადაც ქუთაისელმა სპორტსმენმა პირველი ადგილი დაიკავა, ფედერაციის გადაწყვეტილებით კი საერთაშორისო ტურნირზე წაიყვანეს მეორე ადგილზე გასული სპორტსმენი. ბოიკოტის ერთ-ერთ მიზეზად მწვრთნელები სწორედ ამას ასახელებენ . როგორც მწვრთნელები ამბობენ, ფედერაციის ორგანიზებულ ტურნირებზე სხვა ქალაქებიც არ იღებენ მონაწილეობას, რაც შიდა სამზარეულოა და თავად ფედერაციამ უნდა დაალაგოს. ასევე, 8-10 ივნისს ქუთაისის ნიჩბოსნობის სკოლა არ წავიდა საქართველოს თასის მეორე ეტაპზე, რომელსაც ფედერაცია უწევდა ორგანიზებას. ამის შესახებ აიპი ინფორმირებული იყო სკოლიდან წერილობით ,რომელშიც მოყვანილია ასეთი მიზეზი, რომ ნიჩბოსნობის ეროვნულ ფედერაციას შეჩერებული აქვს დაფინანსება, სპორტის სამინისტროს გამოყოფილი კომისია იკვლევს დარღვევებს, ასევე საქმეა სასამართლოში და ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს არცერთი ქალაქი და მათ შორის, არც ქუთაისის აკადემიური ნიჩბოსნობის გუნდი.

30 ივნისს ნიჩბოსნობის სკოლის სპორტსმენები მიემგზავრებიან ქალაქ ფოთში, სადაც ჩატარდება ქალაქ ფოთის საერთაშორისო რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ტურნირის ორგანიზატორი ფოთის მუნიციპალიტეტია.

— ბატონო, კობა, ნიჩბოსანთა ფედერაციას აქვს ასეთი შეკითხვა: „რატომ არ ესწრებიან ქუთაისელი ნიჩბოსნები შეჯიბრებებს და მაშინ რაში უხდის მათ სახელმწიფო ხელფასს?“ იქნებ თქვენ კონკრეტულად განგვიმარტოთ, რა დაფინანსებას იღებს ნიჩბოსანთა სპორტული სკოლა წლიურად და რას ხმარდება ფინანსები, ხელფასების გარდა?

— ქუთაისის ნიჩბოსნობის სპორტ სკოლას აქვს წარმატებები და არის დაინტერესება ამ სპორტის მიმართ, ამიტომაც ფინანსდება ჩვენს მიერ. რაც შეეხება ბიუჯეტს, სკოლას ცალკე ბიუჯეტი არ აქვს ხელფასები ირიცხება აიპის ბიუჯეტიდან და როცა მივლინებაში მიდიან სპორტსმენები და მწვრთნელები უფინანსდებათ მივლინება.

— ბატონო კობა, ნიჩბოსანთა ფედერაცია ასევე აცხადებს, რომ თუ კვლავ გაგრძელდება ქუთაისელთა ბოიკოტირება, ისინი იძულებული გახდებიან, რომ ქუთაისი გარიცხონ ფედერაციიდან. როგორ უყურებთ თქვენ ამ საკითხს? რამდენად წაადგება ასეთი ფაქტი ქუთაისში ნიჩბოსანთა სპორტული სკოლის განვითარებას?

— ფედერაციას არ აქვს მიზეზი, ჩვენი სკოლის გარიცხვის, რადგან ჩვენს სკოლას წარმატებებიც ბევრი აქვს და ერთ-ერთი მოწინავე სკოლაა. ეს სპორტი ქუთაისში აქტიურია და განვითარებაც აქვს.

***

ცოტა უცნაურია, რომ ფედერაციაში ყოფნა გინდოდეს და ამავე დროს, მის ორგანიზებულ შეჯიბრებებს თუ ღონისძიებებს ბოიკოტს უცხადებდე, თან აცხადებდე, ფედერაციას ჩვენი გარიცხვის მიზეზი არ აქვსო...

დამატებითი კომენტარისგან თავს შევიკავებთ, თუმცა ქუთაისის სპორტული ა(ა)იპის ხელმძღვანელს ვურჩევთ, კარგი იქნებოდა, გადაემწმებინა მათი მწვრთნელების მიზეზები და ამ ციფრულ საუკუნეში რომელიმე სპორტული საიტიდან მაინც გაეგო, მართლა არცერთი გუნდი არ მონაწილეობდა საქართველოს თასის მეორე ეტაპზე? თუ სხვა რამეშია საქმე?

აქვე შეგვიძლია, რა თქმა უნდა, ჩვენ ჩამოვუთვალოთ ბატონ კობას ყველა გუნდი (ფედერაციის წევრები გვყავს მხედველობაში), რომელიც მონაწილეობდა ამ ასპარეზობაში და ჩვენვე ვუთხრათ, რომ მხოლოდ ქუთაისი იყო გამონაკლისი და რომ მწვრთნელებმა, იგი, უბრალოდ, გააცურეს, მაგრამ სჯობს, თვითონ გამონახოს დრო და გადახედოს ინტერნეტში ამ ფაქტის დამადასტურებელ ინფორმაციას და იქნებ მაშინ უფრო სერიოზულად შეხედოს იმ ფაქტს, რომ ნიჩბოსნობის სპორტული სკოლა ასეთი მწვრთნელებით და ბოიკოტით, თანაც — ბიუჯეტის ფულით, „შორს ვერ წავა".

ჩვენ კი, რა თქმა უნდა, ჩვენი ქალაქის ნიჩბოსანთა გულშემატკივრები ვართ და იმის ფუფუნება არ გვაქვს, კერძო პირების პირად ინტერესებს საერთო საქმე შევწიროთ.

ნიჩბოსანთა ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ქალაქის მერის ინფორმირების შემდეგ, ეს საკითხი სახელმწიფოებრივად სასარგებლოდ გადაწყდება. დაველოდოთ მოვლენებს...

ნატო გუგელაძე

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში რამდენიმე სიახლე იგეგმება

დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება, ახალი სახელმძღვანელოები, მცირედი ცვლილება საგაკვეთილო საათებში, მეხუთე კლასში სკოლის მიერ ორი უცხოური ენის შეთავაზება; ასევე, V კლასის მოსწავლეებისთვის პირველ სემესტრში განმსაზღვრელი შეფასების გაუქმება და შემაჯამებელი დავალებების შემცირება – ეს იმ სიახლეების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც 17 სექტემბერს, 2018-2019 სასწავლო წლის პირველი დღიდან სკოლაში მისულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ელით.
დეტალურად სიახლეების შესახებ ინფორმაციას edu.arls.ge ავრცელებს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** საუბრობს სიახლეების შესახებ:

„სექტემბრიდან ინერგება I-VI კლასის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, ეს არის რეფორმირებული ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის მეთოდოლოგიაც განსხვავებულია. ახალი სახელმძღვანელოები დაინერგება დაწყებით საფეხურზე, პარალელურად სახელმძღვანელოების გრიფირებასთან დაკავშირებით კონკურსს ვაცხადებთ საბაზო საფეხურისთვისაც, ვინაიდან საბაზო საფეხურის არსებითად განახლებული სტანდარტები და დეტალურად გაწერილი წლიური პროგრამებიც უკვე დამტკიცდა.

დაწყებით საფეხურზე I-VI კლასებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კუთხით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

II კლასში 5 წუთით შემცირდა გაკვეთილების ხანგრძლივობა. პირველ კლასში ეს დრო 35 წუთია, მეორე კლასში – 40 წუთი გავხადეთ და შემდგომ უკვე 45–წუთიან საგაკვეთილო რეჟიმზე გადავლენ მოსწავლეები. ეს ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესის ორგანიზებას, რადგან უფროსი ბავშვების დასვენებას არ დაემთხვევა პირველი, მეორე კლასის ბავშვების დასვენების პერიოდები და ერთმანეთს მოძრაობაშიც არ შეუშლიან ხელს. გადაწყვეტილება მივიღეთ ბავშვების შესაძლებლობებიდან გამომდინარე", – განმარტავს მინისტრის მოადგილე.

იცვლება შეფასების სისტემაც. V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეები არ შეფასდებიან ქულებით. ამასთან, მასწავლებლებს აღარ მოუწევთ საშინაო დავალებების შეფასება, ისინი ორიენტირებულნი იქნებიან განმავითარებელ შეფასებაზე.

"I კლასიდან V კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით, მოსწავლეები არ შეფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით. ამ დრომდე, ნიშნები არ იწერებოდა I-IV კლასებში. მეხუთე კლასში გადასულ მოსწავლეებს კი უკვე შეხება უწევთ ახალ (საგნობრივ) პედაგოგებთან, იწყება ნიშნების წერა, ისინი ერთგვარად უცხო გარემოში ხვდებიან, რასაც ხშირად ახლავს დემოტივირება და ჩავარდნა სწავლაში. ზოგადად, მოსწავლის პროგრესისთვის გადამწყვეტია განმავითარებელ შეფასებებზე აქცენტირება. მასწავლებელმა უნდა მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები მოსწავლეს, დააფიქროს რა არის მისი ძლიერი მხარეები, რა მიმართულებით სჭირდება უფრო მეტად ყურადღების გამახვილება, რა სტრატეგიებს მიმართოს, როგორ იმუშაოს და არა ის, რომ პირველივე დღიდან პირდაპირ ნიშანი დაუწეროს და ბავშვს შიში, დემოტივაცია გაუჩინოს საგნობრივ სწავლებასთან და პედაგოგებთან ურთიერთობის კუთხით.

"სწორედ ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ V კლასის პირველი სემესტრი იყოს ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი და მხოლოდ განმავითარებელი შეფასება დავტოვეთ; მოსწავლეებიც შეეჩვევიან ახალ პედაგოგებს და II სემესტრიდან, როცა ნიშნებით შეფასება დაიწყება, პედაგოგებიც მეტად აიღებენ პასუხისმგებლობას პირველ სემესტრში მათ მიერ განხორციელებულ სწავლა-სწავლების პროცესზე.

„გარდა ამისა, მთლიანად დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში) მასწავლებლებს აღარ მოუწევთ საშინაო დავალებების ქულებით შეფასება. შეფასებები მხოლოდ საკლასო აქტივობებში იქნება თუმცა საშინაო დავალებები ექნებათ, მაგრამ უფრო მცირე მოცულობის, რადგან მასწავლებელმა მოსწავლესთან კლასში უნდა იმუშაოს", – განაცხადა ლია გიგაურმა.

„მეორე უცხო ენასთან დაკავშირებით გავაჩინეთ ვალდებულება, რომ მეხუთე კლასში სკოლამ მოსწავლეს არ შესთავაზოს მხოლოდ ერთი უცხოური ენა, არამედ მისცეს საშუალება, რომ მოსწავლეებმა აირჩიონ კიდევ ერთი ევროპული უცხოური ენა, რომელსაც სახელმწიფო სრულად დააფინანსებს, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანი ცვლილებაა", – განაცხადა ლია გიგაურმა.

საპროტესტო აქციაში მონაწილეობის შემდეგ გიორგი კუპრაშვილი პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა

თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მოზარდების მკვლელობის შესახებ გამართულ სასამართლო პროცესს საპროტესტო აქციები მოჰყვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ აქციებზე ხალხი შვილმოკლული მამის, ზაზა სარალიძის მხარდასაჭერად გამოვიდა და ის პოლიტიკურ აქციებში გადაიზარდა, რომლის მთავარი სლოგანი გახდა"ნუ მომკლავ" და „სისტემა უნდა დაინგრეს".

ნუ მომკლავ! - აი,რას ყვება აქციის შემდეგ დაზარალებული მონაწილე. ქუთაისში, ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რამდენიმე დღის განმავლობაში საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა.

ზაზა სარალიძის მხარდასაჭერი აქცია სახელწოდებით - "ნუ მომკლავ", 31 მაისს მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე განაჩენი გამოაცხადა. ქუთაისში საპროტესტო გამოსვლა თავდაპირველად ცენტრალურ მოედანზე, მესხიშვილის თეატრის წინ გაიმართა, შემდეგ კი მონაწილეებმა საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გადაინაცვლეს.

„ნუ მომკლავ", „აღსდგეს სამართლიანობა", „დაისაჯონ დამნაშავეები" - ეს იყო აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა, რასაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგზანიზაციებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, სტუდენტები, რიგითი მოქალაქეები ითხოვდნენ.

საპროტესტო გამოსვლაზე იმყოფებოდა ქუთაისში მცხოვრები გიორგი კუპრაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ აქციის დასრულების შემდეგ უცნობმა პირებმა მის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელეს. გიორგი კუპრაშვილის თქმით, ის ამ ინციდენტს პოლიტიკურ ანგარიშწორებას უკავშირებს, რადგან ამბობს, რომ ყოველთვის, წინა ხელისუფლების მიმართ დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს.

„არასოდეს დამიმალავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის მიმართ მაქვს აშკარა სიმპათიები. ამის გამო, ყოველთვის ვგრძნობდი მტრულ დამოკიდებულებას მოქმედი ხელისუფლების მხარდამჭერებისაგან და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, იძულებული გავხდი დამეტოვებინა საქართველო. 2015-2017 წლებში ლტოლვილის სტატუსით ვიმყოფებოდი ისრაელში, თუმცა 2 წელია, დავბრუნდი სამშობლოში და ეს დაძაბული დამოკიდებულება მაინც იყო," - ამბობს გიორგი კუპრაშვილი.

ფიზიკური ანგარიშწორების შედეგად გიორგი კუპრაშვილს სხეულზე და სახის არეში აღენიშნება მრავლობითი დაზიანებები. შემთხვევიდან მეორე დღეს მან სამედიცინო შემოწმება გაიარა და მკურნალობას გადის.

როგორს დაზარალებული აცხადებს, მუქარის შემცველ სატელეფონო მესიჯებს ის ახლაც იღებს. გიორგი კუპრაშვილი აცხადებს, რომ მას მუქარა ვერ შეაშინებს და სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლას კვლავ გააგრძელებს.

7 თვის წინ, თბილისში, ხორავას ქუჩაზე მოზარდებს შორის სისხლიანი გარჩევა ორი ახალგაზრდის მკვლელობით დასრულდა. ლევან დადუნაშვილისა და დავით სარალიძის საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში კი განაჩენი 31 მაისს გამოცხადდა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, მკვლელობაში ერთ-ერთ ბრალდებულს, მოზარდებს შორის სისხლიანი გარჩევის დროს მოკლული ლევან დადუნაშვილის მკვლელობა დაუმტკიცდა. დავით სარალიძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს კი, ბრალი გადაუკვალიფიცირდა და მას მხოლოდ განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის გაასამართლებენ.

მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული საპროტესტო აქციების შემდეგ, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიების მიზნით, საპარლამენტო კომისია შეიქმნა. ამავე დროს, გამოძიებაც თავიდან დაიწყო და მას შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს.

საპროტესტო აქციების შედეგად საქართველოში უკვე პრემიერმინისტრიც შეიცვალა და ახალი დროებითი მთავრობა დამტკიცა პარლამენტმა.

ნატა თვაური

წელს თერჯოლაში 16 მასშტაბური პროექტის განხორციელება იგეგმება

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ დალაქიშვილმა და თერჯოლის მერმა ბონდო სოფრომაძემ მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

ამ ეტაპზე თერჯოლაში რამდენიმე სოფლამდე მისასვლელი გზისა და დაზიანებული საყრდენი კედლების სამუშაოები ხორციელდება.მონიტორინგის ფარგლებში გრიგოლ დალაქიშვილი გოდოგანი–ნაგარევი–ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის, სოფელ ეწერისა და რობაქიძის ქუჩაზე მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

მუნიციპალიტეტში უახლოეს პერიოდში სასმელი წყლის მაგისტრალების მოწყობა იგეგმება სოფლებში: ზედა სიმონეთში, სიქთარვასა და ბარდუბანში, ასევე ქალაქში ჯაბიძის ქუჩაზე.

2018 წელს თერჯოლაში 16 მასშტაბური პროექტის განხორციელება იგეგმება.

„ღია კარის დღე" სამხედრო ნაწილში

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივით, სამხედრო ნაწილში ,,ღია კარის დღე" მოეწყო. რეგიონის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლის მე–11 მე–12 კლასის მოსწავლეებმა ერთი დღე ქუთაისის მე–3 ქვეით ბრიგადაში გაატარეს. ბავშვებთან ერთად სამხედრო ბაზას იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ დალაქიშვილი სტუმრობდა. სკოლის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ ე.წ. ყაზარმები დაეთვალიერებინათ და საკუთარი თვალით ენახათ ჯარისკაცების საცხოვრებელი პირობები, მათ ასევე, ლაზარეთი და სამხედრო ტექნიკა დაათვალიერეს. ბავშვებმა მე–3 ქვეითი ბრიგადის სიმულაციის ოთახებში იარაღის სროლაშიც მოსინჯეს საკუთარი შესაძლებლობები. აღნიშნული ინიციატივა ახალგაზრდებში ჯარის პოპულარიზაციას და შესაბამისად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში წამსვლელთა რაოდენობის ზრდას ისახავს მიზნად.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის პროექტი ,,ღია კარის დღე" სხვადასხვა სამხედრო ნაწილშიც გაგრძელდება და მოსწავლეები ადგილზე გაეცნობიან, როგორია ჯარისკაცის ერთი ჩვეულებრივი დღე. პროექტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

ასევე, იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ დალაქიშვილმა მოსწავლეებთან ერთად საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთა გმირების მომორიალი გვირგვინით შეამკო.

მედიატური გურიაში

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს მედიატურის ფარგლებში საშუალება ჰქონდათ, მოენახულებინათ „ნაბეღლავის"ქარხანა,რომლის ისტორიაც 1905წელს იწყება,როდესაც გურიაში კურორტ ნაბეღლავში მინერალური წყალი აღმოაჩინეს...

1950-იან წლებში პირველი ჭაბურღილი გაიბურღა და 1958 წელს უკვე ნაბეღლავის წყლის ქარხნული წარმოება დაიწყო. ნაბეღლავის ისტორიაში ახალი ეტაპი კი 1997 წლიდან იწყება, როდესაც წარმოებას სათავეში „წყალი მარგებელი „ ჩაუდგა.

2017წლის 24ივნისს,სოფელ ნაბეღლავში სს"წყალი მარგებლის" უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა გაიხსნა. რომლის პროექტი განხორციელდა შვეიცარიელ და ავსტრიელ ინსტიტუციონალურ პარტნიორებთან და EBRD-სთან ერთად.ქარხანა საქართველოს ბაზარძე პირველი მინერალური წყლის „ნაბეღლავის" მწარმოებელი-ა,წარმოება 1997წლიდან დაიწყო „წყალი მარგებლის" მიერ.

2002წლიდან კი წყაროს წყალი „ბახმაროს" ჩამოსხმაც დაიწყო.ქარხანა ასევე აწარმოებს ავსტრიული კომპანია „რაუხის" წვენებს,ცივ ჩაის,ლიმონათს,ენერგეტიკული,ახალი მინერალური წყალი,"ჯეო ნატურა",მოჰიტოებს და სხვა უალკოჰოლო სასმელებს.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ამ კომპანიაში წარმოებული წყალი აკმაყოფილებს პენტაგონის სტანდარტებს და საქართველოში წვრთნების დროს მყოფი ამერიკის ჯარი „წყალი მარგებლის" წყლით მარაგდება.

მედიატურის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებმა ასევე მოინახულეს ერისთავების სასახლე, დენდროლოგიური პარკი, ჩოხატაურის ნ.ბერძენიშვილის მუზეუმი, ერკეთის დედათა მონასტერი, მთავარანგელოზის ეკლესია, შემოქმედის ეკლესია.

ლიკა კაკუშაძე

ფიცი გვნამს, ფაქტები გვაკვირვებს

2015 წლის 1 ივლისს, დღის 13⁰⁰ საათზე, ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა შეხვედრა რომელსაც ესწრებოდნენ - საზედამხედველო კომპანია „ეპტისა", კონტრაქტორი კომპანია „SMK", ქუთაისის წყალმომარაგების სერვისცენტრის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები - ასა, საია, საეა და სამართლიანი არჩევნების ქუთაისის წარმომადგენლობა.



შეხვედრის მიზანი იყო „ეპტისას" წარმოედგინა მიმოხილვა ახლად დაწყებული პროექტის KUT-01-ის, მისი შემსრულებელი (კონტრაქტორი) თურქული კომპანია SMK, ფინანსური წყაროს - აზიის განვითარების ბანკისა და დამკვეთის - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ურთიერთშეთანხმებით გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ, სადაც აღიარებულია, რომ მუშაობა დაიწყეს 2015 წლის 8 ივნისს და მუშაობა დამთავრდება 2018 წლის 7 ივნისს, რასაც „ეპტისა" დააკვირდება, ჩაიწერს და წარადგენს ანგარიშს: ხარისხი, ხარჯები თუ პროექტის დამკვეთისათვის დროულად ჩაბარების საკითხი. აქვე აღნიშნულია, რომ „ეპტისა" მჭიდრო კოორდინაციაშია დამკვეთთან, რათა შესრულდეს ყველა დაკისრებული მოვალეობა საერთაშორისო წესებისა და რეგულაციების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ არაფერია ნათქვამი საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამაზე. ეს ყველაფერი მიეწერება 2015 წელს და ჩვენი ეპიზოდური ჩართვებიც მთავრდება სიტყვებით _ „ყველაფერი იქნება თავის დროზე".

ჩვენ ახლა ვაკეთებთ შემდეგ განცხადებას:

- გავიდა ჩაბარების თარიღი _ 07.06.2018 წელი - როდისაა მომავალი ჩაბარების თარიღი?
- რა ეშველება 2X4000 $მ^3$ რეზერვუარებს, რომელთა სამშენებლო ნაწილი მხოლოდ 25:-თაა შესრულებული, მშენებლობა კი დაიწო 2017 წლის შემოდგომაზე.
- რამდენი თვე მოუნდება 30 000 აღრიცხვის ბლოკის მონტაჟს მაღალსართულიან საცხოვრებელ ბინებში, რომელთა დაყენებაც თავის დროზე ითავა ესპანურმა კომპანიამ „კობრამ" და დაიწყო კიდეც ნიკეას ქუჩაზე.

მოკლედ, შეკითხვები საკმაოდ დაგროვდა და მას განსაკუთრებით უნდა მიაქციოს ყურადღება პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატებმა ქუთაისიდან და ქუთაისის თვითმმართველობამ (მერია, საკრებულო). განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ საკითხს, რომელიც ბოლო დროს აიწია, საფელ მაღლაკის მცხოვრებთათვის სასმელი წყლის მიწოდების შესახებ ქუთაისის პროექტიდან, რაც გამოიწვევს თანხის არამიზნობრივ ხარჯვას.

და საბოლოოდ, ხომ არ დადგა დრო, ქუთაისში განსაკუთრებული პროექტის შესახებ ვიღაცა გამოვიდეს ანგარიშით და საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს გასცეს პასუხი, თუ ის მას აქვს, ახსნას ის მოვლენა, თუ რას, რატომ და როგორ მოხმარდა აზიის ბანკიდან ნასესხები მილიონები.

თითქოს გაიგონეს ჩვენი ოხვრა და თბილსში ინტერნეტ-გამოცემით გავრცელდა ინფორმაცია საკმაოდ ლიბერალური სათაურით „ქუთაისის 24-საათიანი წყალმომარაგების დასრულების ვადა შეიცვალა". ავტორი, ბატონი ზაზა სიხარულიძეზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ ძირითადი სამუშაოები 2018 წლის ბოლოს დამთავრდება და ახალ დანახარჯებს არ ითვალისწინებს. ბატონმა ზაზა სიხარულიძემ განაცხადა - „პროექტმა ცვლილებები განიცადა და დამატებითი სამუშაოები, სავარაუდოდ, 2019 წლის ნახევარში დასრულდება".

აქ ნამდვილად გვიჩნდება შეკითხვები:

- რა დამატებითი უბნები, რამდენი დასახლების წყალმომარაგების მოწყობა პროექტის დარღვევით?
- პროექტის შესაბამისი სამუშაოთა წარმოების გეგმა სად არის და როგორ შეგვიძლია მისი მიღება?
- დასაწყისიდან გაკეთებული გათვლების თანახმად, პროექტი უნდა დამთავრებულიყო 2018 წლის 7 ივლისს, რა მოხდა?
- რატომ ქვეყნდება ინფორმაცია ცენტრალურად და არაფერი იცის ამის შესახებ ქუთაისელმა მომხმარებლებმა?

ასოციაცია ასა-ს თავმჯდომარე
ზაზა ხელაძე
ქუთაისი, ივნისი 2018 წელი

სტატია დამუშავდა პროექტის „ ქუთაისელი ამომრჩევლების შეხედულება თვითმმართველობისადმი" ფარგლებში, რომელიც სრულდება იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით, რასაც დიდი მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ.

სტატია დამუშავდა პროექტის "ქუთაისელი ამომრჩევლების შეხედულება თვითმმართველობისადმი" ფარგლებში, რომელიც სრულდება იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით, რასაც დიდი მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

სპეციალური შეთავაზება პედაგოგებს საოჯახო სასტუმროსგან „LUTREZI/ლუტრეზი" ახალდაბაში

საოჯახო სასტუმრო **„LUTREZI/ლუტრეზი"** მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უნიკალურ საკურორტო ზონაში, ბორჯომის ხეობის დაბა ახალდაბაში, ზღვის დონიდან 790 მეტრზე, სადაც ყველა პირობაა შექმნილი საუკეთესო დასვენებისა და გართობისთვის.

ახალდაბა წიწვოვან და ფართეფოთლოვან ტყეებთან ერთად, მდიდარია თერმული მინერალური წყლებით, რაც ერთნაირად სასარგებლოა როგორც ბავშვებისთვის, ისე - უფროსებისთვის.

მდინარე მტკვრის შენაკად, ნეძვურას ხეობაში განლაგებულია თერმული მინერალური წყლების წყაროები (ბურღილები), რომელთა ტემპერატურაა + 32,5 გრადუსიდან +44,8 გრადუსამდე. მინერალური წყალი გამოიყენება აბაზანების სახით და საუკეთესოა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის პროფილაქტიკური თუ დაავადების სამკურნალოდ. ახალდაბა ულამაზესია წლის ყველა დროს - ზამთარ-ზაფხულს და აქ სტუმრობა ყველა სეზონზე შთამბეჭდავია.

ტრანსპორტი ახალდაბამდე - საოჯახო სასტუმრომდე „LUTREZI/ლუტრეზი"

თბილისიდან ახალდაბამდე, დაახლოებით 1საათი და 30 წუთი სჭირდება მიკროავტობუსით მგზავრობას. თითქმის ანალოგიური დროა საჭირო ქუთაისიდან ახალდაბამდეც. ხოლო ახალდაბიდან ბორჯომში სამგზავროდ - 15 წუთი საკმარისია.
საოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი" ახალდაბის ცენტრში, რუსთაველის შესახვევი #19-ში, ე.წ. სკოლის უბანში მდებარეობს და ადგილზე სასიამოვნო, მყუდრო და თბილი ოჯახური გარემოა შექმნილი: დიდი ულამაზესი ეზო, ჰამაკებით, ფანჩატურითა და ბავშვების გასართობი ადგილით, უფასო "პარკინგი" და ინტერნეტი.

სასტუმრო სახლის მეორე სართული ხისგანაა აგებული და აქ განთავსებულია შუშაბანდი, ერთი სტანდარტული 2-ადგილიანი და ორი 4-ადგილიანი კეთილმოწყობილი ნომერი, რომელთაც აქვთ ერთი საერთო სველი წერტილი დერეფანში. ნომრებში არის კონდიციონერები, ტანსაცმლის საკიდი ან კარადა.

პირველ სართულზე განლაგებულია სამზარეულო, შესაბამისი ავეჯ-ჭურჭელით და სასადილო ოთახი, სადაც დამსვენებლებს თავად შეუძლიათ, მოამზადონ კერძები.

გარდა ამისა, საოჯახო სასტუმროს ეზოშია თანამედროვე ერთსართულიანი 5 ადგილიანი კოტეჯი, აპარტამენტის სტილში, თავისივე სველი წერტილითა და სამზარეულოს მოწყობილობით - გაზი, მაცივარი, სამზარეულოს ონკანი.

საოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი" -ს ერთდროულად მინიმუმ 14-15 სტუმრის მიღების საშუალება აქვს. შესაძლებელია, ასევე, დამატებითი საწოლის გაშლა.
საოჯახო სასტუმროს ქუჩაზე მდებარეობს მრავალპროფილური მარკეტი, სადაც ფასები ბაზრის ფასების შესაბამისია და კომფორტულია ყოველდღიური მოხმარებისთვის.

სასტუმრო სახლთან ძალიან ახლოსაა ნაძვნარი, პარკი, საბავშვო ატრაქციონებით, ასევე - თერმული აბანოები, სადაც ხელმისაწვდომი ფასებია ბანაობისა თუ აბაზანების მიღებისათვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბავშვების გართობისა თუ ფიზიკური აქტივობებისათვის აქტუალურია სასტუმროს მახლობლად მდებარე სტადიონის, სკოლის ეზოსა და საჭიდაო მოედნის გამოყენებაც.
სასტმრო „LUTREZI/ლუტრეზი", ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო, რამდენიმე ათეულ მეტრშია ცენტრალურ მაგისტრალთან, საიდანაც ნებისმიერი მიმართულებით მარტივია ტრანსპორტირება.

ახალდაბიდან 15 წუთი სჭირდება ბორჯომში ასვლას, ხოლო 10 წუთი - ხაშურამდე მგზავრობას. სასტუმროს მახლობლად არის როგორც რკინიგზის სადგური, ასევე, ყოველ ერთ საათში მოძრაობს მიკროავტობუსი.(მგზავრობა ბორჯომამდე 80 თეთრია)

Lutrezi
HOTELS & RESORTS
akhaldaba

ნომრების დასაჯავშნად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
599 10 77 94; 577 247711;
ნატო გუბელაძე (სასტუმროს მფლობელი და მენეჯერი)

ელექტრონული ფოსტა:
lutrezi2010@gmail.com; nato2727@gmail.com

ფეისბუქგვერდი:
https://www.facebook.com/GuestHouseLutrezi/

იპოვეთ საუკეთესო და მშვიდი გარემო თქვენი საოჯახო დასვენებისთვის ახალდაბაში!

კეთილი იყოს თქვენი მობრ*ანება საოჯახო სასტუმროში
"LUTREZI/ლუტრეზი"!

საოჯახო სასტუმრო „LUTREZI/ლუტრეზი", სურვილის შემთხვევაში, დამატებითი სერვისის სახით გთავაზობთ ასევე, ახლომდებარე კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას, პიკნიკს მდინარე ნეძვურას ხეობაში, თევზაობას, კვადროციკლით თუ ცხენებით გასეირნებას, ადგილობრივი, ტრადიციული კულინარიის მასტერკლასებს, ღვინის დეგუსტაციებს და საინტერესო თავგადასავლებს ბუნებაში!
ჩვენი სტუმრები როგორც უცხოეთიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ყოველთვის აღფრთოვანებულები რჩებიან ახალდაბის ბუნებით და „LTREZI/ლუტრეზი"- ს მასპინძლობითა და სტუმართმოყვარეობით!

ჩვენს სასტუმროში არსებული კომფორტი და მომსახურება ბევრად მეტი ღირებულებისაა, რისი გადახდაც მომხმარებელს უწევს. შესაბამისად მომსახურების ფასები ხელსაყრელი და მისაღებია დამსვენებელთათვის. ჩვენი ეს შეთავაზება კი სპეციალურად პედაგოგებისთვისაა და გარკვეული ფასდაკლებაც უკვე გათვალისწინებულია ფასში:
ერთი პერსონის ღამისთევისა და მომსახურების ღირებულებაა 20 ლარი, კვების გარეშე. (დამატებითი ხარჯი არ არის საჭირო სასტუმროს საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას, როგორიცაა, მაგ: სარეცხი მანქანა, უთო,ფენი ან სხვა.)

ბავშვები სამ წლამდე, რომელთათვისაც დამატებითი საწოლის გაშლა არ არის საჭირო - უფასოა...

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასტუმროში არსებული ნომრების ფასები ასეთია:
ორადგილიანი ნომერი მეორე სართულზე(რომელშიც დგას ორსაწოლიანი ტახტი)- **40ლარი;**

- **ოთხადგილიანი ნომერი მეორე სართულზე** (რომელშიც დგას ორი ერთსაწოლიანი საწოლი და ერთი ორსართულიანი საწოლი) – **80ლარი;**
- **ოთხადგილიანი ნომერი მეორე სართულზე** (რომელშიც დგას ორი ერთსაწოლიანი საწოლი და ერთი ორსართულიანი საწოლი) – **80ლარი;**

შენიშვნა:
12 კაციანი ჯგუფის შემთხვევაში, მეორე სართულზე არსებულ შუშაბანდში შესაძლებელია ასევე დამატებითი საწოლის გაშლა ორი პერსონისთვის, რომელიც შეგვიძლია უფასოდ შემოგთავაზოთ, სპეციალურად თქვენი პედაგოგებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. ანუ მეორე სართულზე 12 ადამიანის განთავსების ჯამური ღირებულება იქნება იგივე, რაც 10 კაცის ღირებულებაა რეალურად - 200 ლარი დღეში. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ერთ ადამიანს მოუწევს 17 ლარი დღეში.

- **აპარტამენტის სტილის 5 ადგილიანი კოტეჯი,** (რომელშიც დგას ერთი ორსაწოლიანი ტახტი, ერთი ორსართულიანი საწოლი და ერთი გასაშლელი დივანი) თავისივე სველი წერტილით და სტუდიო-სამზარეულოთი - ღირს **100ლარი დღეში.**

შენიშვნა:
- **ეს სპეციალური შეთავაზების ფასები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამსვენებელი მინიმუმ 7 დღით რჩება საოჯახო სასტუმროში.**

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵃ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**